

დამტკიცებულია:

სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის

2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-192 ბრძანების  
საფუძველზე

**სსიპ - კოლეჯის „აისი“ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი**

**რეგულირების სფერო:** წინამდებარე წესი ადგენს კოლეჯში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და პროცედურას.

**მუხლი 1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლება**

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

**მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლებამოსილი ორგანო**

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილი კომისია (შემდგომში – კომისია).
2. აღიარების მსურველ პირთა მომართვის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს განცხადების განხილვის პროცედურას, ადგენს განცხადების წარდგენის ვადას; განსაზღვრავს კომისიის საქმიანობისა და სათანადო დოკუმენტით დადასტურებული, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებად ჩათვლის წესსა და გამოცდის ჩატარების თავისებურებებს.
3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს კონსულტაციას უწევს ადმინისტრაციის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი, რომელიც აწვდის მას ინფორმაციას სასურველი პროფესიის საფეხურების შესახებ. რის შემდეგაც აღიარების მსურველი პირი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი სასურველი პროფესიის საფეხურის აღიარებს სურს მას.

**მუხლი 3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის მიერ წარმოსადგენი**

**დოკუმენტები**

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა პირმა უნდა წარუდგინოს:
  - ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით

დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში), რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობისა ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, დაწესებულებას უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

#### **მუხლი 4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია**

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის წევრებს ნიშნავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი;

ბ) საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი (დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი);

გ) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები;

დ) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

3) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები არ უნდა წარმოადგენდნენ კოლეჯის თანამშრომლებს.

#### **მუხლი 5. გადაწყვეტილების მიღება**

1. განცხადების განხილვის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება;

ბ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა;

გ) გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

2. კომისია ამოწმებს განმცხადებლის მიერ წარდგენილ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

4. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება მოიცავს:

ა) კოლეჯის დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

დ) მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში - მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ და შესაბამის დასაბუთებას;

ე) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

5. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

6. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

7. გადაწყვეტილებას ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი და წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.